ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29261635**
თარიღი:**12/06/2026**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერსა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე- 100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების, საქართველოს კანონის „გრანტების შესახებ“ მე-4, მე-5 და 5¹ მუხლების საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან (ს/ნ 202051536) გააფორმოს ხელშეკრულება (თან ერთვის) დანართი №1-ით გათვალისწინებული ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით.

მუხლი 2. დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას გრანტის მიღებაზე თანხმობის/ნებართვის გაცემის თაობაზე.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება დაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონული სასამართლო-ში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM